(სსმ 13.06.2008 N 84 მუხ. 902)

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება
N301 2008 წლის 12 ივნისი ქ.თბილისი

საქართველოში წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008–2009 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოში წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008–2009 წლების სამოქმედო გეგმა

მიზანი/ ამოცანა	საქმიანობა	შემსრულებელი	ვადა	მოსალოდნელი შედეგები ინდიკატორები
1. დაუსჯელობის სინდრომის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება და ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შემდგომი წარმართვა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის მიმართ	1.1 ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მიერ წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის საჯაროდ მხარდაჭერა.	საქართველოს მთავრობა	განგრძობადი	ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები საჯაროდ უჭერენ მხარს წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას.
	1.2 სამართალდაცვის ორგანოებისა და	შინაგან საქმეთა სამინისტრო,	განგრძობ	გამოძიებულ იქნა შესაბამისი ორგანოების

	სასამართლო ხელისუფლების მიერ წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის და გადამეტებული ძალის გამოყენების ფაქტების ეფექტიანი გამოძიება, დანაშაულის ჩამდენი პირის პასუხისგებაში მიცემა, სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნათა შესაბამისად გასამართლება და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.	იუსტიციის სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სასამართლო ხელისუფლება.	ადი	მიერ წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის და გადამეტებული ძალის გამოყენების ყველა ფაქტი, აღნიშნული ქმედებებისათვის ბრალდებულთა მიმართ განხორციელდა სისხლის სამართლებრივი დევნა, დანაშაულის ჩამდენი პირები გასამართლდნენ და დაზარალებული უზრუნველყოფ ილ იქნა სათანადო კონპენსაციით.
	1.3 შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის სამსახურების ეფექტიანი და გამჭირვალე საქმიანობის უზრუნველყოფა, მათი საქმიანობის შესახებ საზოგადოების პერიოდული ინფორმირება.	შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო.	განგ რძობ ადი	შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის სამსახურების საქმიანობის ეფექტიანობა და ტრანსფარანტულობა გაიზარდა. მათი საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხი გაიზარდა მედიის, ინტერნეტის, საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიის გზით.
	1.4 სისხლისსამართლებრივი დევნის პირობებში აღნიშნული პირებისათვის უფლებამოსილების შეჩერება	გენერალური პროკურატურა, შესაბამისი უწყებები	განგ რძობ ადი	სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებში მხილებული პირები არ ახორციელებენ უფლებამოსილებას.
2. წამების, არაჰუმანური,	2.1. არსებული საკანონმდებლო ბაზის	იუსტიციის სამინისტრო,	განგ რძობ	არსებული საკანონმდებლო ბაზის

სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის, ან გადამეტებული ძალის გამოყენების პრევენცია	შემდგომი გაუმჯობესებისათვის წინადადებების მომზადება და პარლამენტისათვის წარდგენა	შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ადი	გასაუმჯობესებლად მომზადებული წინადადებების წარდგენა განსახილველად
	2.2. პენიტენციური კოდექსის მიღება საეთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით	საქართველოს პარლამენტი	2009 წლის I ნახევარი	პენიტენციალურ სისტემასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება პენიტენციური კოდექსით
	2.3. ეთიკის/ქცევის კოდექსის შემუშავება/გავრცელება და ეფექტიანი იმპლემენტაცია სამართალდაცვის ორგანოებისათვის: – შინაგან საქმეთა სამინისტრო; – გენერალური პროკურატურა; – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.	შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი– არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით	2008 წლის I ნახევარი/განგრძობადი	შინაგან საქმეთა სამინისტროში, გენერალურ პროკურატურაში, იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მოქმედებს ეთიკის/ქცევის კოდექსი/ ხორციელდება მოქმედი ეთიკის/ქცევის კოდექსის ეფექტიანი იმპლემენტაცია.
	2.4. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების შინაგანაწესის/ წესდების მიღება/ დახვეწა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.	იუსტიციის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების და მეცნიერების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო	2009 წლის I ნახევარი	თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების საქმიანობა რეგულირდება შინაგანაწესით/წესდებით. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში მოქმედი შინაგანაწესი/წესდება სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო

				სტანდარტებთან.
	2.5. ძალის გამოყენების შესახებ სახელმძღვანელოს შემუშავება.	შინაგან საქმეთა სამინისტრო,თავდაცვის სამინისტრო,იუსტიციის სამინისტრო,არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით	2009 წლის I ნახევარი	შესაბამისი უწყებები სარგებლობენ ძალის გამოყენების შესახებ სახელმძღვანელოთი.
	2.6.თავისუფლებაშეზღუდულ პირთა საჩივრის პროცედურების დეტალური ჩამოყალიბება (დახვეწა) საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით და აღნიშნული მექანიზმის შესახებ თავისუფლებაშეზღუდულ პირთა ინფორმირება.	იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების და მეცნიერების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო	2009 წლის I ნახევარი	თავისუფლებაშეზღუდულ პირთა საჩივრის წარდგენა რეგულირდება დეტალურად ჩამოყალიბებული პროცედურული ნორმებით. თავისუფლებაშეზღუდული პირები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მექანიზმის შესახებ.
	2.7. თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში დაკავებულთა მოთავსების, რეგისტრაციის, აღრიცხვის შემდგომი დახვეწა და შესაბამისი ელექტრონული ბაზის შექმნა.	იუსტიციის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო.	2009 წლის I ნახევარი	თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში დაკავებულთა მოთავსების, რეგისტრაციისა და აღრიცხვისას გამოიყენება უფრო სრულყოფილი პროცედურული ნორმები. მოქმედებს შესაბამისი ელექტრონული ბაზა.
	2.8. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პრობაციის სისტემისა და პატიმრობის პირობების გაუმჯობესება, რომელიც ეფუძნება	იუსტიციის სამინისტრო, განათლების და მეცნიერების სამინისტრო,	2009 წლის I ნახევ	მოქმედებს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პრობაციის

	პატიმრობის უკიდურეს შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით გამოყენების პრინციპს. დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთათვის სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების გაუმჯობესება, დროული ფსიქოლოგიური და სხვა სარეაბილატაციო დახმარებით უზრუნველყოფა.	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, სასამართლო ხელისუფლება	არი	გაუმჯობესებული სისტემა.
	2.9. პატიმრობის ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების არსებული ტენდენციის გაგრძელება/ გაუმჯობესება.	გენერალური პროკურატურა, სასამართლო ხელისუფლება	განგრძობადი	გრძელდება ტენდენცია პატიმრობის ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების კუთხით, განსაკუთრებით არასრულწლოვანებთან მიმართებით
	2.10. პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურის დახვეწა.	იუსტიციის სამინისტრო	2008 წლის II ნახევარი	პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით გამოიყენება უფრო დახვეწილი პროცედურა.
	2.11.დაკითხვა/ინტერვიუების ელექტრონული ან ვიდეო ჩაწერის უზრუნველყოფა.	შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო,	2009 წლის II ნახევარი	დაკითხვის/ინტერვიუები ს აღბეჭდვა წარმოებს ვიდეოფირზე.

		გენერალური პროკურატურა		
3. სამედიცინო ხასიათის გარანტიების შემდგომი გაძლიერება.	3.1. პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა მართვის სისტემის კონცეპტუალური საფუძვლებისა და განხორციელების ინსტრუმენტების (მექანიზმების) შემუშავება;	საქართველოს მთავრობა	2008 წლის II ნახევარი	შემუშავებულია პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა მართვის სისტემის კონცეპტუალური საფუძვლები და განხორციელების ინსტრუმენტები.
	3.2.თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში პირთა შესვლისას სამედიცინო შემოწმების ღონისძიებების დახვეწა (აღნიშნული პროცედურა უნდა ჩატარდეს მხოლოდ შესაფერისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ საშიშია პირის სამედიცინო პერსონალთან მარტო დატოვება, სამედიცინო შემოწმების ღონისძიებები ხორციელდება თავისუფლებაშეზღუდული პირის სქესის მქონე თანამშრომლის თანდასწრებით);	იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2008 წლის II ნახევარი	თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში პირთა შესვლისას სამედიცინო შემოწმების ღონისძიებები რეგულირდება უფრო დახვეწილი პროცედურული ნორმებით.
	3.3.თითოეულ პატიმარზე სამედიცინო ისტორიის/სამედიცინო ფაილის შექმნა.	იუსტიციის სამინისტრო	2009 წლის II ნახევარი	არსებობს თითოეული პატიმრის ისტორიის/სამედიცინო ფაილის შემცველი ბაზა.
4.თავისუფლებაშ	4.1.დროებით მოთავსების	შინაგან საქმეთა	2009	გარემონტებულია

ეზღუდულ პირთა პირობების გაუმჯობესება.	იზოლატორების(დმის)გარემონტება, რათა მათ დააკმაყოფილონ საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;	სამინისტრო	წლის II ნახევარი	დროებით მოთავსების იზოლატორების მაქსიმალური რაოდენობა
	4.2.პენიტენციურ სისტემაში არსებული დაწესებულების გარემონტება. საჭიროების შესაბამისად ახალი დაწესებულების აშენება და ძველის გაუქმება;	იუსტიციის სამინისტრო	2009 წლის II ნახევარი	პენიტენციურ სისტემაში ახალი სასჯელაღსრულების დაწესებულებების მშენებლობა; ძველი დაწესებულებების დემონტაჟი/ რეკონსტრუქცია/ გარემონტება. განხორციელდა ძველი დაწესებულებების მაქსიმალური რაოდენობის რეკონსტრუქცია
	4.3.პატიმართათვის ცხოვრების მინიმალური მოთხოვნების უზრუნველყოფა, კერძოდ:– პატიმართა ადეკვატური ფართობით უზრუნველყოფა (არანაკლებ 2,5 კვ.მ), –ადეკვატური კვება, –პირველადი მოხმარების საგნები, –საჩივრის დასაწერად აუცილებელი საგნები (კალმისტარი/ფანქარი, ფურცელი,კონვერტი), –ყოველდღიური გასეირნება სუფთა ჰაერზე (არანაკლებ 1სთ.), –განცალკევებული და ჰიგიენური სტანდარტების			პატიმრები უზრუნველყოფილი არიან ცხოვრების მინიმალური პირობებით.

	დაცვით მოწყობილი საპირფარეშოები (საკნისაგან გამოყოფილი კარით ან ცალკე ოთახი საკანთან მიერთებული ან ცალკე), –საშხაპეები არანაკლებ კვირაში ერთხელ, –წინასწარ პატიმრობაში მყოფი, ისევე როგორც მსჯავრდებული არასრულწლოვანებისათვის, შესაბამისი გარემოს შექმნა და მათი სპორტულ, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობაში ჩაბმა.			
	4.4. ჰაუპტვახტების გარემონტება დაკავებულ პირთა პირობების გაუმჯობესების მიზნით, ევროსაბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად.	თავდაცვის სამინისტრო	2008 წლის I ნახევარი	გარემონტდა ჰაუპტვახტები.
	4.5.ფსიქიატრიული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება ევროსაბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის რეკომენდაციების	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2008 წლის II ნახევარი	ფსიქიატრიული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურა შეესაბამება ევროსაბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის

	შესაბამისად.			რეკომენდაციებს.
5. საზოგადოებაში წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაციის პოპულარიზაცია.	5.1. კლიპის დამზადება ძირითადი გარანტიების შესახებ (ადვოკატის ყოლის უფლება, სამედიცინო შემოწმებისა და ახლობლებთან დაკავშირების უფლება), –მოცემული ინფორმაციის (სტანდარტული ვარიანტის) განთავსება ყველა სამართალდაცვის ორგანოსა და არასამთავრობო ორგანიზაციის საიტზე, –სხვა მსგავსი ხასიათის ზომების მიღება (დიდ სტენდებზე გამოკვრა ქალაქში), –სპეციალურ უფლებათა მოკლე კურსის გათვალისწინება სასკოლო სწავლებისას (უფროსკლასელებისთვის), –უფასო იურიდიული დახმარების პოპულარიზაცია, –მოცემული ინფორმაციის გავრცელება არასრულწლოვანებისათვის ხელმისაწვდომი და გასაგები ფორმით.	იუსტიციის სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლების და მეცნიერების სამინისტრო– არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით	2008 წელი	საზოგადოება უკეთ არის ინფორმირებული წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის, ძირითადი სამართლებრივი უფლებებისა და გარანტიების შესახებ.
	5.2 თავისუფლებაშეზღუდული პირისათვის მისი სამართლებრივი გარანტიების გაცნობა:	შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო,	2008 წლის II ნახევარი	თავისუფლებაშეზღუდული პირები და შესაბამისი თანამდებობის პირები უკეთ არიან ინფორმირებული

	–სტანდარტული პლაკატების გაკვრა პოლიციის განყოფილებაში, დმი–ში, სასადილოებში, –ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით სპეციალური ბუკლეტების დარიგება, –მოცემული ინფორმაციით არასრულწლოვანთა უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი და გასაგები ფორმით.	იუსტიციის სამინისტრო		ნებისმიერი დაკავებული პირისა და პატიმრისათვის სამართლებრივი გარანტიების გაცნობის წესის შესახებ.
	5.3.წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლთა კომპენსაციის უფლების შესახებ საზოგადოების ინფორმირების გაზრდა.	საქართველოს მთავრობა/გენერალური პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო–არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით	2008 წლის II ნახევარი	საზოგადოება უკეთ არის ინფორმირებული წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლთა კომპენსაციის უფლების შესახებ
6. შესაბამისი სტრუქტურის წარმომადგენლების პროფესიული ტრენინგი და გადამზადება	6.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის, პროკურატურის ტრენინგცენტრის, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ფარგლებში წამების, არაჰუმანური,სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ,ასევე გადამეტებული ძალის გამოყენების შესახებ ერთიანი სასწავლო პროგრამის/კურსის/სემინარის შემუშავება ყოველი	იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, სასამართლო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო–საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით	2008 წლის II ნახევარი,2009 წელი	შემუშავდა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის , ასევე გადამეტებული ძალის გამოყენების შესახებ ერთიანი სასწავლო პროგრამის/კურსის/სემინარის პროექტი. სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ შერეული ტრენინგები.

	კონკრეტული უწყების თავისებურების გათვალისწინებით. შერეული სემინარების ჩატარება ლექციებისა და როლური თამაშების, არასრულწლოვანთა მოთხოვნილებებისა და საჭიროების გათვალისწინებით.			
	6.2. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ბაზაზე არსებული პატრულის მოსამზადებელი პროგრამის ფარგლებში შემდეგი საკითხების გათვალისწინება: –ზოგადი საკითხები ადამიანის უფლებების შესახებ და წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის/ გადამეტებული ძალის გამოყენების აკრძალვის სამართლებრივი ბაზის შესახებ (საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები), არასრულწლოვანთა მოთხოვნილებებისა და საჭიროების თაობაზე განსაკუთრებულად ყურადღების გამახვილება.	შინაგან საქმეთა სამინისტრო	2008 წლის II ნახევარი	შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ბაზაზე არსებული პატრულის მოსამზადებელი პროგრამა მოიცავს საკითხებს ადამიანის უფლებების შესახებ და წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის/ გადამეტებული ძალის გამოყენების აკრძალვის სამართლებრივი ბაზის შესახებ.
	6.3.სამართალდაცვის ორგანოების წარმომადგენლების ფიზიკური მომზადების / წვრთნის კურსში	შინაგან საქმეთა სამინისტრო	2008 წლის II ნახევ	სამართალდაცვის ორგანოების წარმომადგენლების ფიზიკური მომზადების/წვრთნის

	ეჭვმიტანილის მინიმალური ფიზიკური დაზიანების გარეშე განეიტრალების კომპონენტის შეტანა. არასრულწლოვანთა მოთხოვნილებებისა და საჭიროების თაობაზე განსაკუთრებულად ყურადღების გამახვილება.		არი	კურსი მოიცავს ეჭვმიტანილის მინიმალური ფიზიკური დაზიანების გარეშე განეიტრალების კომპონენტს.
	6.4.გამომძიებლებისა და პროკურორების ტრენინგი დაკითხვის სპეციფიკასთან დაკავშირებით, ტრენინგების ჩატარება პირთა დაკავებისას პოლიციის თანამშრომელთა მიერ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. არასრულწლოვანთა მოთხოვნილებებისა და საჭიროების თაობაზე განსაკუთრებულად ყურადღების გამახვილება.	შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა	განგრძობადი	გამომძიებლებს და პროკურორებს ჩაუტარდათ ტრენინგი.
	6.5.საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის თანამშრომელთა ტრენინგი წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის/ გადამეტებული ძალის გამოყენების აკრძალვის შესახებ; არასრულწლოვანთა მოთხოვნილებებისა და	იუსტიციის სამინისტრო	განგრძობადი	ტრენინგი გაიარეს შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებმა.

	საჭიროების თაობაზე განსაკუთრებულად ყურადღების გამახვილება.			
	6.6. .გამომძიებლებისა და პროკურორების ტრენინგი წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის/ გადამეტებული ძალის გამოყენების ფაქტების გამოძიების სპეციფიკის შესახებ; არასრულწლოვანთა მოთხოვნილებებისა და საჭიროების თაობაზე განსაკუთრებულად ყურადღების გამახვილება.	შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა	განგრძობადი	გამომძიებლებს და პროკურორებს ჩაუტარდათ ტრენინგი.
	6.7.სამედიცინო პერსონალის ტრენინგი წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად მიღებული დაზიანებების მქონე პირების მიმართ ეფექტიანი გამოძიების, დოკუმენტაციისა და ფსიქოლოგიური მიდგომის შესახებ სტამბულის პროტოკოლის თანახმად.	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო	განგრძობადი	ტრენინგი ჩაუტარდათ შესაბამის სამედიცინო მუშაკებს.

7.მონიტორინგის მექანიზმების საქმიანობის ხელშეწყობა და კოორდინაცია.	7.1.OPCAT–ით გათვალისწინებული ეროვნული მექანიზმის ჩამოყალიბება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, სათანადო დამოუკიდებლობის ხარისხითა და ფინანსური რესურსების უზერუნველყოფით.	საქართველოს მთავრობა	2008 წლის II ნახევარი	მოქმედებს OPCAT–ით გათვალისწინებული ეროვნული მექანიზმი.
	7.2.ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008–2009 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი.	ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო.	განგრძობადი	მიმდინარეობს 2008–2009 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი.